ვორქშოპი კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ

(სამუშაო ენები: ინგლისური და რუსული)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2015 წლის 2-3 ოქტომბერი,

აბსტრაქტების წარმოდგენის ბოლო ვადა: 31 აგვისტო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ ორდღიან ვორქშოპში მონაწილეობის მისაღებად იწვევს სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტების (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) დოქტორანტებსა და პოსტ-დოკის ადრეულ ეტაპზე (სადოქტორო დისერტაციის დაცვიდან 2 წლამდე ვადაში) მყოფ მკვლვარებს, რომლებიც კვლევას აწარმოებენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ნებისმიერ დარგში.

ვორქშოპი ახალგაზრდა მკვლევართათვის განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმით, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ექსპერტთა გუნდი, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ მეთოდოლოგიურ კვლევებში, მონაცემთა ბაზის შექმნის მეთოდებსა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში. ვორქშოპი ეფუძნება წინა წარმატებულ ტრეინინგებს, რომლებიც საგანგებოდ იყო მოწყობილი ბალტიის რეგიონისათვის და იმედი გვაქვს, რომ იგივე მიდგომების გამოყენება ეფექტური იქნება კავკასიის რეგიონშიც.

წინა ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ:

http://www.tlu.ee/et/riigiteaduste-instituut/teadus--ja-arendustegevus/teadus--ja-arendusprojektid/Tensions/Doctoral-workshop-2015

http://www.tlu.ee/en/institute-of-political-science-and-governance/research-and-development/projects/Tensions

ვორქშოპი მნიშვნელოვან შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებსა და ახალგაზრდა მვლევარებს, რომ საკუთარი კვლევა წარმოადგინონ და ინდივიდუალურად მიიღონ რჩევა-დარიგებები. ერთმანეთის გაცნობისა და კონტაქტების დამყარების გარდა მონაწილეებს საშუალება ექნებათ:

1. წარმოადგინონ მოხსენება თავიანთ მეთოდოლოგიურ მიდგომებზე და კოლეგებისაგან და უფროსი მეცნიერებისაგან მიიღონ შეფასებები და მოსაზრებები.
2. ჩაერთონ ფართო სამეცნიერო ქსელში რეგიონის მასშტაბითა და მის გარეთ უცხო ქვეყნებსა და მსოფლიოს რეგიონებში სინერგიების შექმნის პერსპექტივით.
3. დაესწრონ ტრეინინგს იმის შესახებ თუ როგორ დაწერონ აბსტრაქტი საერთაშორისო კონფერენციისათვის.

კონფერენციის აბსტრაქტი (მაქსიმუმ 300 სიტყვა), მოკლე ავტობიოგრაფიასა და საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე:

ქეთევან ხუციშვილი - ketevan.khutsishvili@tsu.ge

სასრუველია ასლი გაიგზავნოს შემდეგ მისამართებზე:

ალისა დათუნაშვილი - adatunashvili@gmail.com

ანეტ გროსბერგა - ms.aneteg@gmail.com

აბსტრაქტის წარმოდგენის საბოლო ვადაა 2015 წლის 31 აგვისტო.

აბსტრაქტებში მოკლედ უნდა იყოს ჩამოყალიბებული კვლევითი პროექტის თემა, შესწავლის მეთოდოლოგია და მასალების შეგროვების მეთოდები. სრული მოხსენების წარმოდგენა ვორქშოპის თარიღამდე საჭირო არ არის, მაგრამ თუ სურვილი გექნებათ, გამოგიყოფთ გამსაუბრებელს, რომელიც შეგიფასებთ თემას და რჩევასაც მოგცემთ.